საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილება
ქ. თბილისი

MES 5 20 0000750411

31/08/2020

„სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის, შპს - კავკასიის უნივერსიტეტისა და შპს ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტის, "ევროპული ინტეგრაციისა და შრომითი ურთიერთობების ერთობლივი სამაგისტრო პროგრამების აკრედიტაციის შესახებ" 2020 წლის 12 მარტის N31 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის შესახებ

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს სხდომაზე სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის შუამდგომლობის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად,

საბჭომ გადაწყვიტა:

1. „სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის, შპს - კავკასიის უნივერსიტეტისა და შპს ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტის, "ევროპული ინტეგრაციისა და შრომითი ურთიერთობების ერთობლივი სამაგისტრო პროგრამების აკრედიტაციის შესახებ" გადაწყვეტილების დანართი 1-ის პირველი პუნქტი ნაცვლად "შრომითი ურთიერთობები და ევროპული ინტეგრაცია" ჩამოყალიბდეს, როგორც "ევროპული ინტეგრაცია და შრომითი ურთიერთობები".

2. საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2020 წლის 31 აგვისტოს №750239 სხდომის ოქმის N03 ნაწილი ცნობილ იქნას ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად.

3. საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 180-ე მუხლის პირველი ნაწილისა და „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 24 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, საგანმანათლებლო 1 დაწესებულების მიერ შეიძლება გასაჩივრდეს სააპელაციო საჩივრის სააპელაციო საბჭოში წარდგენის გზით შემდეგ მისამართზე: ქ.თბილისი, მ. ალექსიძის ქ. N2, ან თბილისის საქალაქო

სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში სარჩელის შეტანის გზით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კილომეტრი, N6, აღნიშნული გადაწყვეტილების ცენტრის ვებ-გვერდზე (www.eqe.ge) გამოქვეყნების დღიდან, ერთი თვის ვადაში.

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭო
სხდომის თავმჯდომარე
გეგენავა დიმიტრი



საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭო
საბჭოს მდივანი
თიკანაშვილი ნიკა